6420/3-77/21 2 25062021

6420/3-77/21
25-06-2021

სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს

სადეპუტატო კითხვა

მოგესალმებით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ 2014 წლის 19 თებერვლიდან, 2020 წლის 31 დეკემბრამდე ბენეფიციარებზე გაცემული საბიუჯეტო თანხების მოცულობების და გაცემის პერიოდების შესახებ, ჩაშლილი ინდუსტრიების მიხედვით. ამავე დროს, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამ თანხების გაცემის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტების და ამ ეფექტების შეფასების შესახებ (რა კონკრეტული ეკონომიკური ეფექტები მოჰყვა გაცემულ თანხებს და რა კონკრეტული მექანიზმით შეფასდა ეს ეფექტი).

ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს ბენეფიციარების სრული ჩამონათვალი, მათ მიერ მიღებული საგრანტო თანხები, მათი მოგებები 2014 წლის 19 თებერვლიდან, 2020 წლის 31 დეკემბრამდე და ამ კომპანიების სტატუსი (მოქმედი/შეჩერებული).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

აწარმოე საქართველოში

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

ENTERPRISE GEORGIA

KA020134852297421

მისამართი: თბილისი, 0102, მარჯანიშვილის 5/16-18 ტელ: 296 00 10; Address: 5/16-18; Marjanishvili str., 0102 Tbilisi, Georgia Tel: 296 00 10 E-mail: info@enterprise.gov.ge, www.enterprise.gov.ge

№ EG-3/855 **08 / ივლისი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ, ალექსანდრე რაქვიაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი, 2021 წლის 25 ივნისის N6420/3-77/21 წერილში დასმული სადეპუტატო შეკითხვის პასუხად, დანართის სახით, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ 2018 წელს შპს ბიდიოს (BDO) მიერ განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტების შედეგების შეფასება. ანგარიში მოიცავს ბენეფიციარების შედეგების მიკრო და მაკროეკონომიკურ ანალიზს და ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს. აღნიშნული კვლევა დეტალური სახით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf.

დანართი: 1 (ერთი) დოკუმენტი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი მიხეილ ხიდურელი